პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

13 ივნისი პარასკევი, 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი

№ 136 (14436)

მუშაობა დაამთავრა საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ

სესიამ მისალმება გაუგზავნა კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირის მონაწილეებს

კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირი

11 ივნისს კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირი მუშაობას განაგრძობდა.

დილის სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა გ. ჰუსაკი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გრძელდებოდა დღის წესრიგის საკითხების განხილვა. კამათში მონაწილეობდნენ კანადის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ამხ. უ. კაშტანი, ესპანეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ამხ. ს. კარილიო, ბრაზილიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. ლ. კ. პრესტესი, იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის მოადგილე ამხ. ე. ბერლინგუერი.

საღამოს სხდომას თავმჯდომარეობდა ამხ. ტ. ჟივკოვი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი. სხდომაზე სიტყვები წარმოთქვეს პორტუგალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ა. კუნიალმა, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ჰუსაკმა, პერუს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ხ. დ. პრადომ.

□ □ □

10 ივნისს საღამოს სხდომაზე გამოვიდა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ი. კადარი, რომელმაც განაცხადა, რომ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტია თავიდანვე მხარს უჭერდა კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის მოწვევის იდეას. ჩვენი აზრით, ხაზი გაუსვა ორატორმა, იმ ფაქტს, რომ თითქმის ათი წლის შემდეგ კვლავ შეიკრიბა მოძმე პარტიათა თათბირი, რომელთა წარმომადგენლები ყველა კონტინენტიდან ჩამოვიდნენ, ისტორიული მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის განვითარებისათვის.

ჩვენი თათბირის ამოცანაა შეიმუშაოს პრინციპული პლატფორმა და მოქმედების პროგრამა, რომლებიც შეესაბამებიან იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მოთხოვნებს და რომლებსაც აქტიურად დაუჭერენ მხარს ყველა კომუნისტური და მუშათა პარტია, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალები. ჩვენს დელეგაციას დავალებული და განზრახული აქვს ყველაფერი იღონოს თათბირის ამ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის.

საერთაშორისო იმპერიალიზმის მთავარი ძალა, თქვა ამხ. ი. კადარმა, ამჟამად ამერიკის იმპერიალიზმია, რომლის პოლიტიკის ყველაზე ბარბაროსული და საზიზღარი გამოვლინებაა აგრესიული ომი ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ.

ვიეტნამელი ხალხი გმირულად, თავდადებით და წარმატებით იბრძვის ეროვნული თავისუფლებისათვის, თვითგამორკვევის უფლებისათვის. სარგებლობს მთელი პროგრესული ძალების, დედამიწის ყველა პატიოსანი ადამიანის სიმპათიითა და მხარდაჭერით.

ახლო აღმოსავლეთში შექმნილი კრიზისული ვითარება, რომელიც ყოველ მომენტში ახალ აფეთქებათა საფრთხეს ქმნის, პროგრესული ადამიანებისა და მშვიდობის მომხრეთა კანონიერ აღშფოთებასა და წუხილს იწვევს მთელ მსოფლიოში. ისრაელის მმართველი წრეები იმპერიალისტთა იარაღი არიან თავიანთი დიდმპყრობელური მიზნების მიღწევაში და ჯიუტად არა სურთ ხელი აიღონ თავიანთ დამპყრობლურ მისწრაფებებზე. ჩვენ, განაცხადა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის დელეგაციის მეთაურმა, მხარს ვუჭერთ ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის პოლიტიკურ მოწესრიგებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილების შესაბამისად.

ამხ. ი. კადარი თავის გამოსვლაში შეეხო ევროპის პრობლემებს და აღნიშნა, რომ ევროპის მშვიდობას ყველაზე მეტად და უშუალოდ ემუქრება ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმის მიერ გამოზრდილი, მისი ნომერი პირველი მოკავშირე ევროპაში — დასავლეთ გერმანიის რევანშიზმი და მილიტარიზმი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა დღემდე არა ცნობს ფაშისტური გერმანიის განადგურების შემდეგ შექმნილ ევროპის საზღვრებს. მას არა სურს ცნოს ორი გერმანული სახელმწიფოს არსებობის ფაქტი. ამავე დროს იგი ხელს უწყობს რევანშისტულ და ნეოფაშისტურ მისწრაფებებს. ყოველივე ეს აიძულებს ხალხებს ფხიზლად იყვნენ, ახსოვდეთ, რომ გერმანიის მონოპოლისტურმა კაპიტალმა ერთი თაობის სიცოცხლის მანძილზე მსოფლიო ორჯერ გადაჩეხა ომის უფსკრულში.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის უკანასკნელ თათბირზე ბუდაპეშტში გამოვლინდა კონსტრუქციული ინიციატივა ევროპაში მშვიდობის უზრუნველყოფისა და ევროპის ხალხთა კოლექტიური უშიშროების განმტკიცებისათვის. ამ ინიციატივას დადებითად გამოეხმაურნენ, რაც მოწმობს, რომ ეს ნაბიჯი სწორი და დროული იყო.

მუშაობას ამ მიმართულებით განვაგრძობთ, განაცხადა ამხ. ი. კადარმა. ევროპის მშვიდობის უზრუნველყოფა და უშიშროების განმტკიცება მოითხოვს კონტინენტის ყველა ქვეყნის მთავრობათა შესაბამის წვლილს, აგრეთვე ხალხის მასების აქტიურ გამოსვლასა და მხარდაჭერას. საზოგადოებრივი მოძრაობის გაშლაში, რომელიც ემსახურება მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებს, დიდმნიშვნელოვანი, განმსაზღვრელი როლი ეკისრება ევროპის კომუნისტურ და მუშათა პარტიებს.

ფართო პოლიტიკური დისკუსია, რომელიც ჯერ კიდევ გრძელდება ჩეხოსლოვაკიის ამბების შეფასებასთან დაკავშირებით, თქვა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ცხადყოფს, თუ რა დიდმნიშვნელოვანი საკითხია საერთაშორისო კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისით ამა თუ იმ სოციალისტურ ქვეყანაში განვითარების ზრდა თუ შესაძლო შეფერხება, კრიტიკული ვითარება, აგრეთვე რა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ მოვლენების შეფასებისას კლასობრივ მიდგომას. უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტია და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა არასოდეს არ უარყოფდნენ იმას, რომ გულგრილად ვერ მოეკიდებიან ჩეხოსლოვაკიის ამბებს. სხვანაირად არც შეიძლება იყოს, როცა საქმე ეხება მოკავშირე სოციალისტურ ქვეყნებს. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ჩვენი ქვეყნის მთავრობა, ხაზგასმით აღნიშნა ამხ. ი. კადარმა, ჩეხოსლოვაკიის ამბების თვითეულ ეტაპზე, მთელ თავიანთ მოქმედებაში ხელმძღვანელობდნენ ინტერნაციონალიზმის პრინციპებით, სოლიდარობის გრძნობით და არა სხვა რამით. ჩვენ დაინტერესებული ვართ ერთი რამით და გვინდა მხოლოდ ის, რომ ჩეხოსლოვაკიის საზოგადოების პრობლემები სოციალისტურად გადაიჭრას. ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საშინაო საკითხები უნდა გადაჭრან ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურმა პარტიამ, მუშათა კლასმა და ხალხმა. ჩვენ გვწამს, რომ ისინი ამას იზამენ, მით უმეტეს, რომ ჩეხოსლოვაკიის მოძმე პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამ ბოლო დროს მტკიცედ მოჰკიდა ხელი საქმეს.

როცა ვლაპარაკობთ ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაზე, ჩვენი ერთიანობის განმტკიცებაზე, არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ის უდავო ფაქტი, თქვა ამხ. ი. კადარმა, რომ დღეს ჩინეთის ხელმძღვანელთა და მათ მიმდევართა პოლიტიკა სერიოზული დაბრკოლებაა ერთიანობისადმი ჩვენი მისწრაფების გზაზე და უაღრესად ართულებს, ასუსტებს ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ობიექტურად ჩინეთის ხელმძღვანელთა ამჟამინდელი პოლიტიკა ყველაზე დიდი საჩუქარია საერთაშორისო იმპერიალიზმისათვის. ეს პოლიტიკა მას ხელს აძლევს, იმედს უნერგავს.

რა თქმა უნდა, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი წუხს, რომ ამგვარად წარიმართა ჩინეთის კომუნისტური პარტიის საქმე. მაგრამ პრინციპებს ვერ ვუღალატებთ და ვერც ნეიტრალური დავრჩებით. ამ შემთხვევაში საქმე ეხება არა დისკუსიას ორ პარტიას შორის რაღაც მეორეხარისხოვან საკითხზე, არამედ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის, მთელი ჩვენი ბრძოლის გენერალურ ხაზს. ამიტომ ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, თქვა ორატორმა, კვლავ გადაჭრით დაგმო ჩინეთის ხელმძღვანელთა წვრილბურჟუაზიული ფსევდორადიკალიზმი, შოვინისტური მისწრაფებანი, გამთიშველი საქმიანობა, ნაციონალიზმი, ანტისოვეტიზმი, შეიარაღებული სასაზღვრო პროვოკაციები, მთელი მათი მავნე პოლიტიკური კურსი.

ჩვენ ხშირად ვამბობთ, განაცხადა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის დელეგაციის მეთაურმა, რომ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ყველა პარტია, მსოფლიო სოციალისტური სისტემის ყველა ქვეყანა თანასწორუფლებიანია. ეს მართლაც ასეა და ეს კარგია. მაგრამ ამ ბოლო დროს ცოტას ლაპარაკობენ იმაზე, რომ თუმცა თანასწორუფლებიანი ვართ, მაგრამ ჩვენი პასუხისმგებლობა და ჩვენზე დაკისრებული ტვირთი ერთნაირი არ არის. ყველა პროპორციაც რომ გავითვალისწინოთ, გულახდილად რომ ვთქვათ, უნდა განვაცხადოთ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა ხალხს, რომლებსაც ჩვენთან თანასწორი უფლებანი აქვთ და უფრო მეტის პრეტენზიას არ აცხადებენ, უსაზღვროდ მეტი პასუხისმგებლობა აკისრიათ, ვიდრე ყოველ ჩვენგანს. ისინი მოქმედებენ ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, უანგაროდ, და გაიღეს და იღებენ ყოველ ჩვენგანზე მეტ მსხვერპლს კომუნიზმის საქმის, ხალხთა თავისუფლების, მსოფლიო ომის თავიდან აცილების ინტერესებისათვის, კაცობრიობის ბედნიერი მომავლისათვის. სწორი, პრინციპული დამოკიდებულება საბჭოთა კავშირისადმი, განაცხადა ამხ. ი. კადარმა, ჩვენი ერთიანობის, ინტერნაციონალიზმის, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების შეკავშირების უმნიშვნელოვანესი საკითხია.

ახლა, ამ დღეებში, მოსკოვისადმი, კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირისადმი მიპყრობილია მთელი მსოფლიოს, როგორც ჩვენი მეგობრების, ისე ჩვენი მტრების თვალი. დაე თათბირმა, თქვა თავისი გამოსვლის დასასრულს ამხ. ი. კადარმა, გაამართლოს მთელი მსოფლიოს კომუნისტებისა და პროგრესული ადამიანების იმედი, რომელსაც ამ საერთაშორისო ფორუმზე ამყარებენ.

არგენტინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომის წევრმა ამხ. რ. გიოლდიმ არგენტინის დელეგაციის სახელით მთლიანად დაუჭირა მხარი ძირითადი დოკუმენტის პროექტს. ეს პროექტი, თქვა მან, განაგრძობს კომუნისტური და მუშათა პარტიების 1957 და 1960 წლების განცხადებათა კარგ ტრადიციას, რომლებიც შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის დიდი საგანძურის ნაწილია. პროექტში დასაბუთებულია, რომ ჩვენი ეპოქის ძირითადი წინააღმდეგობაა წინააღმდეგობა ერთი მხრივ იმპერიალიზმსა და მეორე მხრივ სოციალისტურ სისტემას შორის. შემდეგ ამხ. რ. გიოლდიმ აღნიშნა, რომ სწორი არ იქნებოდა ძირითად წინააღმდეგობად მიგვეჩნია წინააღმდეგობა იმპერიალიზმსა და „მესამე სამყაროს" შორის. ასეთი მტკიცება რევოლუციურ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას გამოაცლიდა მის ნამდვილ ისტორიულ აზრს. ამ მოძრაობის კავშირი მსოფლიო სოციალისტურ სისტემასთან და საერთაშორისო მუშათა კლასთან, თქვა ორატორმა, განმათავისუფლებელი ბრძოლის წარმატებათა გარანტიაა.

ამხ. რ. გიოლდიმ დაახასიათა თანამედროვე იმპერიალიზმი და აღნიშნა, რომ იმპერიალისტურ შეტევათა მახვილი მიმართულია სოციალისტური სახელმწიფოების — ანტიიმპერიალისტური ფრონტის გადამწყვეტი ძალის წინააღმდეგ. სოციალიზმის დაცვა ყველა კომუნისტის ინტერნაციონალური მოვალეობაა, მარქსიზმ-ლენინიზმის ერთ-ერთი დებულებაა.

არგენტინის კომპარტიის დელეგაციის მეთაურმა ხაზი გაუსვა ძირითადი დოკუმენტის პროექტის დებულებათა ღირსებებს, რომლებიც შეეხება მუშათა კლასისა და მისი კომუნისტური ავანგარდის ხელმძღვანელი როლის პრობლემებს, აგრეთვე რევოლუციური ბრძოლის ფორმების მრავალფეროვნებას.

ამხ. რ. გიოლდი შემდეგ შეეხო მსოფლიო ანტიიმპერიალისტური და რევოლუციური მოძრაობის დიდ წარმატებებს. დიდად ცდებიან ისინი, ვინც ისწრაფვის რევიზია გაუწიოს ჩვენი პარტიების ძირითად პრინციპებს, ცდილობს დახატოს სოციალიზმის განვითარებისა და რევოლუციური ბრძოლის ნეგატიური სურათი და ამას უპირისპირებს კაპიტალიზმის წარმატების სახეს. უფრო მეტიც, ხაზგასმით აღნიშნავს ორატორი, სოციალიზმის გამარჯვებათა შედეგად თვით ბურჟუაზიულ ქვეყნებში შეიქმნა უფრო ხელსაყრელი პირობები ბრძოლისათვის.

მაგრამ იმპერიალიზმს უნარი შესწევს ზიანი მოგვაყენოს, როცა რევოლუციონერები სიფხიზლეს ადუნებენ. იმპერიალიზმი ინიღბება, რათა შიგნიდან იმოქმედოს. მაგალითად, შარშან ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის ერთ-ერთმა ქვეკომისიამ ურჩია, რომ ლათინური ამერიკის კომუნისტური პარტიების წინააღმდეგ ბრძოლაში ამერიკის შეერთებული შტატები ეყრდნობოდნენ ცრუმემარცხენე და ულტრამემარცხენე ელემენტებს, თუ ისინი კომუნიზმის წინააღმდეგ ილაშქრებენ.

მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, თქვა ამხ. რ. გიოლდიმ, ბრძოლაში მოსახლეობის ფართო ფენების ჩაბმას, რომლებსაც წინათ პასიური პოზიცია ეჭირათ. ჩვენ მათ შორის უნდა მოვაწყოთ რევოლუციური მუშაობა, აღვზარდოთ ისინი მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებით. ჩვენ სრულებითაც ვერ დავეხმარებით მათ, თუ არაფერს ვიტყვით იმათზე, ვინც კომუნიზმს ბრალად სდებს „დაძაბუნებას", ახალგაზრდობას უწოდებს რევოლუციის ბარომეტრს, ან აყენებს საერთო ლოზუნგებს. ორატორმა დაგმო მცდარი მსჯელობა ყველა ბლოკის ერთნაირი ხასიათის შესახებ, მოწოდებანი მიუმხრობლობის შესახებ, მტკიცებანი, თითქოს მეცნიერება ბოლოს უღებდეს ყოველგვარ იდეოლოგიას.

შემდეგ ამხ. რ. გიოლდიმ თავის სიტყვაში ყურადღება მიაქცია იმას, რომ სოციალიზმის უპირატესობა ვლინდება აგრეთვე დემოკრატიის სფეროშიც. პროლეტარული სახელმწიფო თავისი არსებობის პირველი დღიდანვე მილიონჯერ უფრო დემოკრატიულია, ვიდრე ყოველი, ყველაზე ქებული ბურჟუაზიული დემოკრატია. ამასთანავე ორატორმა ხაზი გაუსვა „წმინდა დემოკრატიის" ლოზუნგის სიყალბეს.

———

(გაგრძელება მე-2 გვ.).

კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირის დეპეშა

სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებით რევოლუციურ მთავრობას

მოსკოვში შეკრებილი კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირი მხურვალედ მიესალმება სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის შექმნას. თათბირზე წარმოდგენილ 75 პარტიას ეს მოვლენა მიაჩნია ვიეტნამელი ხალხის გმირული განმათავისუფლებელი ბრძოლის ახალ და დიდმნიშვნელოვან ეტაპად. ისინი აღუთქვამენ სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებით რევოლუციურ მთავრობას, მთელ ვიეტნამელ ხალხს, რომ მუდამ დაუჭერენ მხარს მის ბრძოლას სრულ გამარჯვებამდე.

1969 წ. 12 ივნისი.

კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირის განცხადება

75 კომუნისტური და მუშათა პარტიის წარმომადგენელნი, რომლებიც შეიკრიბნენ მოსკოვში, დიდად აღშფოთებული არიან იმით, რომ კვლავ გაძლიერდა ტერორი, სასტიკი სასამართლო დევნა, მასობრივი დაპატიმრებანი და წამება ბერძენ კომუნისტთა, დემოკრატთა და ხუნტის სხვა მოწინააღმდეგეთა მიმართ.

დიქტატორული რეჟიმი, რომელიც ბერძენ ხალხს თავს მოახვია რეაქციულმა სამხედრო ხროვამ ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტთა და ნატოს აგრესიული ბლოკის ხელშეწყობით, უხეშად უსწორდება საბერძნეთის დემოკრატიულ ძალებს და უწინარეს ყოვლისა კომუნისტებს — სამშობლოს თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისა და ბედნიერი მომავლისათვის თანმიმდევარ მებრძოლთ.

კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირის მონაწილენი ძმურ სოლიდარობას უცხადებენ საბერძნეთის კომუნისტებსა და დემოკრატებს, რომლებიც სამხედრო-ფაშისტური დიქტატურის წინააღმდეგ იბრძვიან. თათბირი მოუწოდებს მშრომელთა ფართო მასებს, ყველა ქვეყნის დემოკრატიულ და პროგრესულ ძალებს გადაჭრით მოითხოვონ რეპრესიების შეწყვეტა და საბერძნეთის ყველა პოლიტიკურ პატიმართა დაუყოვნებლივ განთავისუფლება.

მოსკოვი, 1969 წლის 12 ივნისი.

კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირის მონაწილეებს

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, რომლებიც შეიკრიბნენ რესპუბლიკის მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიაზე, ქართველი ხალხის, რესპუბლიკის ყველა მშრომელის სახელით მხურვალედ მიესალმებიან კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირის მონაწილეებს და უსურვებენ წარმატებით გადაეწყვიტოთ მათ წინაშე დასახული მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის შემდგომი შეკავშირებისა და ხალხთა ერთიანი ანტიიმპერიალისტური ფრონტის შექმნის ისტორიული ამოცანები, უსურვებენ ნაყოფიერ მუშაობას მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმის, დედამიწაზე ადამიანთა ბედნიერების საკეთილდღეოდ.

საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ერთსულოვნად უჭერენ მხარს ჩვენი პარტიის ბრძნულ ლენინურ პოლიტიკას, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაურის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაშია ჩამოყალიბებული.

რესპუბლიკაში ფართოდ გაიშალა საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად. ქალაქებისა და სოფლების მშრომელები ცდილობენ ღირსეულად შეხვდნენ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს, რომელიც ძვირფასია მსოფლიოს კომუნისტებისათვის, ქვეყნად ყველა მშრომელი ადამიანისათვის.

ნება გვიბოძეთ აღგითქვათ თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, რომ საქართველოს მშრომელები ყველაფერს იღონებენ, რათა თავიანთი თავდადებული შრომით სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ კვლავაც განამტკიცონ სოციალიზმისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმე.

დაე კიდევ უფრო მაღლა ფრიალებდეს მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის დროშა!

საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია

საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის საბოლოო სხდომა

12 ივნისს დილის 10 საათზე დაიწყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის მესამე სხდომა. თავმჯდომარეობს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი რ. რ. დვალი.

გრძელდებოდა დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენებისა და თანამოხსენების განხილვა.

კამათში გამოვიდნენ:

დეპუტატი ვ. ნ. ჩანჩალავა (მეზთაშენის საარჩევნო ოლქი, წალკის რაიონი), საქართველოს სსრ განათლების მინისტრი თ. ვ. ლაშქარაშვილი, დეპუტატები ბ. გ. ძაძამია (ჯვარის საარჩევნო ოლქი, წალენჯიხის რაიონი), შ. ძ. ბარდაველიძე (ჩხარის საარჩევნო ოლქი, თერჯოლის რაიონი).

ამით დღის წესრიგის პირველი საკითხის განხილვა მთავრდება.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ დეპუტატმა გ. ვ. სიხარულიძემ.

დეპუტატებმა ერთხმად მიიღეს დადგენილება „მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ".

სესია იწყებს დღის წესრიგის მეორე საკითხის განხილვას. დეპუტატებმა მოისმინეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის, დეპუტატ თ. ი. მოსაშვილისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კულტურის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის, დეპუტატ ს. ტ. რიგვავას საანგარიშო მოხსენებანი.

მოხსენებათა გამო კამათში გამოვიდნენ:

დეპუტატები ზ. პ. ლეჟავა (ჭრებალოს საარჩევნო ოლქი, ამბროლაურის რაიონი), ნ. მ. მშვილდაშვილი (თიანეთის საარჩევნო ოლქი, თიანეთის რაიონი), გ. ს. შენგელია (მთაწმინდის საარჩევნო ოლქი, ქ. თბილისი), ზ. ა. ოქრომჭედლიშვილი (მანავის საარჩევნო ოლქი, საგარეჯოს რაიონი), შ. ა. სალარიძე (მაიაკოვსკის საარჩევნო ოლქი, მაიაკოვსკის რაიონი).

კამათის მონაწილე დეპუტატებმა აღნიშნეს, რომ მუდმივ კომისიებს სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საქმიანობაში, არიან რა მისი სამუშაო ორგანოები. ეს კომისიები წარმატებით წყვეტენ ბევრ პრობლემას, რომლებიც სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მსვლელობაში წარმოიშობა.

გულდასმით განიხილეს რა მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის და კულტურის მუდმივ კომისიათა საქმიანობა საანგარიშო პერიოდში, დეპუტატებმა აღნიშნეს, რომ ამ კომისიათა მუშაობა იყო ნაყოფიერი, მათს სხდომებზე განიხილავდნენ პრაქტიკული მნიშვნელობის კონკრეტულ საკითხებს. კომისიების მიერ შემუშავებულმა რეკომენდაციებმა და წინადადებებმა ხელი შეუწყო სამშენებლო ორგანიზაციებისა და საწარმოების, კომუნალური მეურნეობის საწარმოების, კულტურის დაწესებულებების საქმიანობის დონის ამაღლებას. დეპუტატებმა შეიტანეს წინადადებები, რომლებიც განხორციელება კიდევ უფრო გააუმჯობესებს აღნიშნულ კომისიათა საქმიანობას.

უმაღლესმა საბჭომ ერთხმად მიიღო დადგენილება „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის და კულტურის მუდმივ კომისიათა მუშაობის შესახებ".

სესია იწყებს დღის წესრიგის მესამე საკითხის განხილვას. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა დეპუტატმა ზ. ა. კვაჭაძემ.

უმაღლესმა საბჭომ ერთხმად დაამტკიცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი, რომლებიც მიღებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე და მეხუთე სესიებს შორის პერიოდში, მიიღო შესაბამისი კანონები და დადგენილებანი.

იმასთან დაკავშირებით, რომ დეპუტატების თანამდებობრივ მთავრობის წევრებს არ შეუძლიათ შევიდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მუდმივ კომისიათა შემადგენლობაში, დეპუტატებმა განიხილეს საკითხი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების შემადგენლობის ზოგიერთი ცვლილების შესახებ.

იმის გამო, რომ დეპუტატი ვ. ა. ჩოფიკაშვილი დანიშნულია საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის თანამდებობაზე, დეპუტატმა რ. რ. დვალმა შეიტანა წინადადება მისი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ. შემდეგ მან შეიტანა წინადადება, რომ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩეულ იქნას დეპუტატი თ. ი. მოსაშვილი და გათავისუფლებულ იქნას იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა რ. რ. დვალმა შეიტანა წინადადება ამ კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნას დეპუტატი ზ. ს. ჩაჩარიძე.

შემოდის წინადადება განთავისუფლებულ იქნას დეპუტატი დ. გ. აბეთიძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან იმასთან დაკავშირებით, რომ იგი დანიშნულია რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის მოადგილედ. აღნიშნული კომისიის თავმჯდომარედ ირჩევენ დეპუტატ ნ. დ. ჰერიძეს.

შემდეგ შემოდის წინადადება დეპუტატი გ. ლ. ნადაშვილი განთავისუფლებულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის წევრის მოვალეობისაგან საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის მოადგილედ დანიშვნასთან დაკავშირებით. წინადადებებს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიათა შემადგენლობის ცვლილებების შესახებ დეპუტატები ერთხმად იღებენ.

სესიის მუშაობის დღის წესრიგი ამოიწურა.

ამით საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ მუშაობა დაამთავრა. (საქინფორმი).

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

რესპუბლიკაში მასობრივი ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის, დეპუტატ გ. ვ. სიხარულიძის მოხსენება „რესპუბლიკაში მასობრივი ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ", აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის, დეპუტატ პ. გ. გელბახიანის თანამოხსენება, აღნიშნავს, რომ ასრულებენ რა სკკპ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტების გადაწყვეტილებებს ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების შესახებ, რესპუბლიკის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით დიდ წარმატებებს მიაღწიეს ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

მეცნიერების, ტექნიკის და კულტურის სწრაფ ზრდასთან ერთად საგრძნობლად გაიზარდა ხალხის დაინტერესება ფიზკულტურითა და სპორტით, ამაღლდა სპორტულ მიღწევათა დონე, გაუმჯობესდა კადრების კვალიფიკაცია, იმატა სპორტულ ნაგებობათა რაოდენობამ.

დღეისათვის ფიზკულტურასა და სპორტში ჩაბმულია რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის 24,1 პროცენტი. მარტო მიმდინარე ხუთწლედის ოთხ წელიწადში მომზადდა საერთაშორისო კლასის 60 სპორტის ოსტატი და 873 სსრ კავშირის სპორტის ოსტატი. 1968 წლის ოლიმპიურ თამაშებზე, მსოფლიო, ევროპისა და საბჭოთა კავშირის პირველობებზე საქართველოს სპორტსმენებმა მოიპოვეს 40 ოქროს, 37 ვერცხლისა და 44 ბრინჯაოს მედალი. საგრძნობლად გაიზარდა იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა რიცხვი, სადაც დანერგილია საწარმოო ტანვარჯიში.

გაიშალა სპორტული მუშაობა საცხოვრებელი ადგილების მიხედვით; ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კლუბები „დილა", „გაზაფხული", „მერცხალი" და „რიონი", რომლებიც შექმნილია ქ. თბილისის დიდმის, საბურთალოსა და ვარკეთილის საცხოვრებელ მასივებში, ქ. ქუთაისის საავტომობილო ქარხნის დასახლებაში, ნაყოფიერ და სასარგებლო მუშაობას ეწევიან მოსახლეობის გაჯანსაღებისათვის.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, ცხინვალის, გორის საქალაქო, აგრეთვე ზუგდიდის, სამტრედიის, ქობულეთის, მახარაძის, ხაშურის, თელავის, გაგრის, კასპის, გარდაბნის და სხვა რაიონულმა საბჭოებმა შესამჩნევად გააუმჯობესეს ხელმძღვანელობა და დახმარება ძირეული ფიზკულტურული კოლექტივებისადმი, დიდი მუშაობა გასწიეს სპორტული ბაზების მშენებლობისა და გაფართოებისათვის.

ფიზკულტურული ორგანიზაციების კარგი მუშაობის მაჩვენებელია ისიც, რომ მასობრივ ფიზკულტურასა და სპორტში მოპოვებული წარმატებებისათვის რესპუბლიკამ მეათედ მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და საპატიო სიგელი.

ამასთან ერთად ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში არის არსებითი ნაკლოვანებანი, გამოუყენებელი არ არის ის დიდი შესაძლებლობანი, რომლებიც რესპუბლიკას აქვს.

ჯერ კიდევ მთლიანად არ არის გადაწყვეტილი უმთავრესი ამოცანა — ფიზიკური კულტურისა და სპორტის დანერგვა ხალხის ყოველდღიურ ყოფაცხოვრებაში, განსაკუთრებით საშუალო და უფროსი ასაკის მშრომელთა შორის.

მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობისათვის არადამაკმაყოფილებლად იყენებენ კულტურისა და დასვენების პარკებს, ბაღებს, კულტურის სასახლეებს და სხვა კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებებს. ნელი ტემპით ვითარდება ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობა საცხოვრებელი ადგილების მიხედვით.

არასაკმარისი ყურადღება ექცევა სპორტული ბაზების გაფართოებას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, უმაღლეს და სპეციალურ საშუალო სასწავლებლებში. მრავალ სასკოლო კოლექტივს არა აქვს სპორტული დარბაზი. რესპუბლიკის პიონერული ორგანიზაციების საქმიანობაში ჯერ კიდევ სუსტად არის გამოყენებული ფიზკულტურული და სპორტული თამაშობანი.

მიუხედავად მოპოვებული წარმატებებისა სერიოზული ჩამორჩენაა სპორტის ზოგიერთ სახეობაში, განსაკუთრებით კი მძლეოსნობაში, ცურვაში, ველოსპორტში, წყალში ხტომასა და თანამედროვე ხუთჭიდში.

სამინისტროები და უწყებები, რომელთა გამგებლობაშია უმაღლესი სასწავლებლები, არ ახორციელებენ საერთო სპორტულ ნაგებობათა მშენებლობას კოოპერირებული წესით.

განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებს და სპორტული განხრით სპეციალიზებულ სკოლა-ინტერნატებს მთელი რიგი ნაკლოვანებები აქვთ მოსწავლეთა კონტიგენტის შერჩევისა და სპორტული მომზადების საქმეში. ყველა სკოლა არ არის უზრუნველყოფილი სპორტული ინვენტარით და სათანადო ბაზებით.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და ჯანმრთელობის ადგილობრივი ორგანოების მუშაობა მოსახლეობაში სამკურნალო და გამაჯანსაღებელი ფიზკულტურის ფართოდ დანერგვისათვის საჭიროებს შემდგომ გაშლასა და გაუმჯობესებას.

რესპუბლიკის ბევრი ქალაქისა და რაიონული ცენტრის სპორტული ბაზები ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებენ თანამედროვე მოთხოვნებს და ვერ უზრუნველყოფენ სსრ კავშირის სპორტის ოსტატთა მომზადებას.

მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში ცუდად იყენებენ არსებულ სპორტულ ნაგებობებს, ხოლო ზოგიერთი მათგანი გამოყენებულია არადანიშნულებისამებრ (დმანისის, ბოლნისის, წალენჯიხის, ხობის, თიანეთის, თეთრი წყაროს, მაიაკოვსკის, ქარელისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცალკეული რაიონები). ცუდად მიმდინარეობს ახალი სპორტული ბაზების მშენებლობა; სისტემატურად არ სრულდება

(დასასრული მე-3 გვერდზე)

კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირი

(გაგრძელება)

ამხ. რ. გიოლდიმ დაახასიათა დიალექტიკური კავშირი ნაციონალურსა და ინტერნაციონალურს შორის და აღნიშნა, რომ ინტერნაციონალური არ უნდა სწორად ვიგულისხმოთ „კუთხურობისათვის“, და ამასთან დაკავშირებით გააკრიტიკა მაოისტთა მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის „გაჩინურება“, რაც ფაქტიურად აღვირახსნილი შოვინიზმის გაგალითია. ყოველად შეუძლებელია, თქვა მან, ერთ სიბრძოლეზე დავაყენოთ საბჭოთა კავშირი და ჩინეთი.

ინტერნაციონალიზმი კანონია ყველა კომუნისტისათვის. იგი ძალაში რჩება მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა კომუნისტური ინტერნაციონალი. შემოვიფიანგლოთ პროექტის მხოლოდ მესამე ნაწილი, რომელსაც პროგრამული ხასიათი აქვს, ნიშნავს ხელი ავიღოთ ჩვენს იდეოლოგიაზე.

ამ. რ. გიოლდიმ გააკრიტიკა წინადადება, რომ განიხილონ მხოლოდ ის საკითხები, რომლებშიც მიდგომა ერთიანობა. ეს ნიშნავს, რომ თათბირზე გამოვიყენოთ უშიშროების საბჭოს წესები, მაგრამ მთელი მსოფლიოს კომუნისტთა თათბირს საერთო არა აქვს რა უშიშროების საბჭოსთან. ჩინეთის ხელმძღვანელებმა უარი თქვეს დასწრებოდნენ თათბირს და მოწვევაზე შეუფრაცხყოფილ გვიპასუხეს. მაშასადამე, ჩვენგან რე მოითხოვენ, რომ ქრისტიანული წესით მეორე ლოყა მივუშვიროთ.

ორატორმა განაცხადა, რომ არგენტინელი ხალხი სოლიდარობას უცხადებს ვიეტნამს, და ხაზი გაუსვა კუბის რევოლუციის დიდ მნიშვნელობას. დამამწყრა რა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები, რომელმაც აღნიშნა, რომ კლასობრივი ბრძოლა თვალს ადევნებს თათბირის მიმდინარეობას, ამხ. რ. გიოლდიმ თქვა, რომ, მართლაც, არგენტინის დიქტატურამ არ ისურვა უარეყო ეს ბრძანება: 4 ივნისის კანონით, ვ. ი. თათბირის ზედ წინადღეს შეიქმნა ბრალდების ახალი ფორმა, რომელის თანახმად კომუნისტს, რომელიც სერთაშორისო კომუნისტურ თათბირს ესწრება, ემუქრება ათი წლის პატიმრობა. ეს ბარბაროსული აქტი მმართველი რეჟიმის სისუსტის ახალი დადასტურებაა.

თავისი სიტყვის დასასრულს ამხ. რ. გიოლდიმ განაცხადა: „48 წლის წინათ ბედნიერება მხკდა წ�მონაწილეობა მიმეღო კომუნისტური ინტერნაციონალის III კონგრესის მუშაობაში. მე მგონია, რომ დელეგატები, რომლებიც მაშინ ვ. ი. ლენინის უშუალო ხელმძღვანელობით მუშაობდნენ, იამაყებდნენ ახლა ჩვენი მრომითადი დოკუმენტით“.

შვეიცარიის შრომის პარტიის ხელმძღვანელი კომიტეტის წევრმა და ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ი. ლეხლაიტერმა, მოკლედ დაახასიათა რა შვეიცარიის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა, აღნიშნა, რომ ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორც შვეიცარიაა, მშვიდობის უზრუნველყოფისათვის ბრძოლა საარსებო საკითხია.

ეს ნიშნავს — მკაცრად დაიცვათ სახელმწიფო ნეიტრალიტეტის პრინციპი, განვახორციელოთ კონსტრუქციული საგარეო პოლიტიკა, წამოვაყენოთ მშვიდობიანი ინიციატივა, ვცნოთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, გიანტანმის დემოკრატიული რესპუბლიკა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, მხარი დავუჭიროთ მოთხოვნებს ევროპაში უატომო ზონების შექმნის შესახებ, ხელი მოვაწეროთ ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას.

თუ გავითვალისწინებთ დასავლეთ გერმანიის მილიტარიზმის, რევანშიზმისა და ნეონაცისტის აქტიურობას, უპირველესი მნიშვნელობა აქვს ევროპის უშიშროების სისტემის შექმნას. ჩვენ მივესალმებით, ამბობს ორატორი, ეარმაზის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების ბუდაპეშტში მიღებულ მიმართვას, რომელიც შეიცავს მოთხოვნებს სამხედრო ბლოკების ერთდროულად დაშლის შესახებ, აგრეთვე ფინეთის მთავრობის ინიციატივას მოწვეულ იქნას კონფერენცია ევროპის უშიშროებისა პრობლემების განსახილველად. ჩვენი მთავრობისაგან მოვითხოვთ, რომ მხარი დაუჭიროს ამ ინიციატივას და აქტიური მონაწილეობა მიიღოს ასეთი კონფერენციის მომზადებაში. ეს იქნებოდა შვეიცარიის წვლილი მშვიდობის შენარჩუნების საქმეში.

ანტიიმპერიალისტური ბრძოლის პრობლემების გამო შვეიცარიის შრომის პარტიამ თავის IX კონგრესზე შემდეგი განაცხადა: ითვალისწინებს რა დამონებული ხალხებისა და ექსპლოატირებული კლასების კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას, კაპიტალიზმი სულ უფრო ხშირად მიმართავს ძალადობას, ფაშიზმს, მუქარასა და საშინელებას, ასეთი ვითარებაში თავის სრულ მნიშვნელობას იძენს ბრძოლა მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, რომელიც შრომის პარტიას უპირველეს ამოცანად მიაჩნია. მაგრამ ეს ბრძოლა დაკავშირებული უნდა იყოს ყველა განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი ნეოკოლონიალიზმისა და იმპერიალიზმის მხილებისათვის, ოზოლაციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მოქმედებასთან. ამ ბრძოლის ეფექტიანობა დამოკიდებულია სოციალისტური სისტემის ერთიანობასა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ერთიანობაზე.

ასეთი ერთიანობას, ამბობს შემდეგ ამხ. ი. ლეხლაიტერი, მივაღწევთ, თუ ურყევად ვცემთ პატივს ძირითად პრინციპებს, რომელთა დაცვა ჩვენს პარტიას თავის ბოლო კონგრესზე მიაჩნია, სახელდობრ, თუ პატივს ვცემთ ხალხთა და სახელმწიფოთა დამოუკიდებლობასა და თვითგამორკვევის უფლების პრინციპებს, თვითეული კომპარტიისა და მუშათა პარტიის უფლებას დამოუკიდებლად განსაზღვროს თავისი პოლიტიკა, თავისი მოქმედება და თავისი გზა. სოციალიზმისაკენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების შესაბამისად. ამასთან გაითვალისწინოს თავისი ქვეყნის კონკრეტული ვითარება. მისი ტრადიციები, ბრძოლის პირობები სხვა პარტიების მხრივ ჩაურევლად. ამ პრინციპების ყოველი დაზღვევა ახალ საძნელებებს ქმნის და ზიანს აყენებს მთელ საერთაშორისო მუშათა მოძრაობას.

ამ პრინციპული პოზიციის შესაბამისად, ხაზს უსვამს ორატორი, ჩვენ უარყოფთ ჩინეთის პარტიის ცალმხრივ პოზიციები და მოქმედება, უშინაარეს ყოველისა მისი ჩარევა სხვა პარტიების საქმეებში და განხეთქილების გამოწვევის ცდები. იმავე პრინციპების შესაბამისად ჩვენ ვერ მოვეწონებით ავტორეულ ვარშავის ხელშეკრულების ხუთი ქვეყნის მოქმედებას ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში. ამასთან სრქმე როდი ეხება ჩვენს ჩარევას მეორე პარტიის საშინაო საქმეებში. ასეთი მოქმედებები შეეხება მთელ მოძრაობას.

სრული ერთიანობის აღდგენა ხანგრძლივი და ძნიე პროცესი იქნება. თუ გავითვალისწინებთ დიდ მრავალგვარობასა და განსხვავებებს ცალკეული ქვეყნების განვითარების დონეში, საჭიროა გულდასმით, მეცნიერული პოზიციებიდან გავარკვეთ შემდგომი განხილვის მსკვლევობაში უთანხმებათა მიზეზები, ავრეთვე გამოვახოთ მათი დაძლევის გზები და საშუალებანი.

პოოლეტარული ინტერნაციონალიზმი და სოციალიზმისა და სოციალისტური ქვეყნების დაცვის მოვალეობა არ შეიძლება ნიშნავდეს, რომ თვითეული პარტია იტომატურად და აუცილებლად უნდა მეესალმოს მმართველი კომპარტიების ან სოციალისტური სახელმწიფოების ყოველ ღონისძიებას. ახალი საზოგადოებრივი წყობილების აშენების დიდი და ძნელი პროცესის მსკვლევობაში, გამარჯვებებსა და წარმატებებთან ერთად შეიძლება იყოს აგრეთვე შეცდომები და ბარიერი. ასეთი საკითხები პარტიამ უნდა განიხილოს სხვა პარტიასთან ერთად ამხანაგურ ვითარებაში. ყოველი კრიტიკა როდი უნდა ჩავთვალოთ ანტისაბჭოთა ან ანტისოციალისტურ კრიტიკად, ზოგჯერ ეს კრიტიკა ძმური გრძნობების გამოხატულებაა.

ჩვენ ფრიად დადებითად ვაფასებთ თათბირის მომზადების ახალ მეთოდს, ფართო კოლექტიურ და ამხანაგურ განხილვას.

ის ფაქტი, რომ ზოგიერთი პარტია არ ღებულ მონაწილეობას თათბირის მუშაობაში, მოწმობს, რომ ჯერჯერობით შეუძლებელია შეეიმუშაოთ საყოველთაო დოკუმენტი, რომელიც გახდებოდა მეცნიერულად დასაბუთებული პოლიტიკური და იდეოლოგიური საერთო პლატფორმა ყველა პარტიისათვის. მაგრამ ჩვენ ეს თათბირი მიგვაჩნია მნიშვნელოვან ეტაპად უთანხმებათა დაძლევის გზაზე.

ჩვენი პარტია, თქვა ამხ. უ. კაშტანმა, სავსებით ეთანხმება ძირითადი დოკუმენტის პროექტს, რომელიც თათბირზე წარმოადგინეს. ეს პროექტი ერთსულოვნად მოიწონა ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც გაიმართა ჩვენი პარტიის XX ყრილობის შემდეგ ა. წ. აპრილში. ჩვენ ვერ დავეთანხმებით იმ თვალსაზრისს, რომ საჭიროა მივიღოთ დოკუმენტის მხოლოდ ერთი ნაწილი. ჩვენ მიგვაჩნია, რომ იმპერიალიზმისა და მისი სტრატეგიის სწორ ანალიზს ამ ეტაპზე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ ამოცანების განსაზღვრისათვის, რომლებიც ენდო გადაგვრთ. ჩვენ ვერ გავიზიარებთ აგრეთვე იმ თვალსაზრისს, რომლის მიხედვით არ გამოიქვეთ ყველა საჭირო დასკვნა ამერიკის იმპერიალიზმისა და მისი მოკავშირეების გლობალური სტრატეგიიდან. გულდამშვიდებულობა სერიოზულად შეასუსტებდა ძალებს, რომლებსაც შეიძლებოდა წინააღმდეგ საბრძოლველად.

გამოვდა რა 11 ივნისის დილის სხდომაზე, **კანადის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ამხ. უ. კაშტანმა** ხაზი გაუსვა, რომ კანადის კომპარტია დიდი ხანია მოითხოვდა თათბირის მოწვევას, რადგან გადაუდებლად საჭიროა შეეფასოთ მოკლეთა მსკვლეობა 1960 წლიდან, ინალიზი გაუკეთოთ ისტორიული განვითარების ახალ პრობლემებს, განვმარტოთ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა.

ჩვენი პარტია, თქვა ამხ. უ. კაშტანმა, სავსებით ეთანხმება ძირითადი დოკუმენტის პროექტს, რომელიც თათბირზე წარმოადგინეს. ეს პროექტი ერთსულოვნად მოიწონა ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც გაიმართა ჩვენი პარტიის XX ყრილობის შემდეგ ა. წ. აპრილში. ჩვენ ვერ დავეთანხმებით იმ თვალსაზრისს, რომ საჭიროა მივიღოთ დოკუმენტის მხოლოდ ერთი ნაწილი. ჩვენ მიგვაჩნია, რომ იმპერიალიზმისა და მისი სტრატეგიის სწორ ანალიზს ამ ეტაპზე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ ამოცანების განსაზღვრისათვის, რომლებიც ენდო გადაგვრთ. ჩვენ ვერ გავიზიარებთ აგრეთვე იმ თვალსაზრისს, რომლის მიხედვით არ გამოიქვეთ ყველა საჭირო დასკვნა ამერიკის იმპერიალიზმისა და მისი მოკავშირეების გლობალური სტრატეგიიდან. გულდამშვიდებულობა სერიოზულად შეასუსტებდა ძალებს, რომლებსაც შეეძლოთ წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამხ. უ. კაშტანმა გადაჭრით დაგმო ანტისოვეტიზმი. მან ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა კავშირი გადამწყვეტი ფაქტორია იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის მსოფლიო ბრძოლაში. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ რომელიმე ერთი პარტია პრივილეგირებული იყოს მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობაში სხვა პარტიების მიმართ, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება და სწორედ საბჭოთა კავშირსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას აკისრია ძირითადი სიმძიმე და პასუხისმგებლობა მსოფლიო ბრძოლაში.

თვითეული კომუნისტური პარტია, თქვა შემდეგ ორატორმა, დამოუკიდებელი და სუვერენული, იგი პასუხს აგებს თავისი ქვეყნის მუშათა კლასის წინაშე, მაგრამ ასევე აგებს პასუხს საერთაშორისო მუშათა კლასის წინაშეც.

კომუნისტების მიერ თავიანთი პრობლემების საერთაშორისო განხილვის უმაღლესი ფორმა მიდგინარე ისტორიული თანმბირი, თქვა დასასრულ ამხ. უ. კაშტანმა. ყველა ქვეყნის მშრომელნი იმედით მოელიან. რომ ჩვენი მუშაობის შედეგად მაქსიმალურად დაეაჩქარებთ ჩვენს პოზიციებს, განვამტკიცებთ მოქმედების ერთიანობას. უნდა შევძლოთ დაეძლიოთ ყოველი სიძნელე, მივიღოთ ეფექტური გადაწყვეტილება, რის საფუძველი, ჩვენი აზრით, არის დოკუმენტი, რომელსაც ახლა განვხილავთ, დარწმუნებული ვართ, რომ ეს გადაწყვეტილება შეიძლება მიღწეულ იქნას და კიდევაც უნდა იქნას მიღწეული.

ესპანეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ამხ. ს. კარილიომ თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა მსოფლიოში გაშლილი ანტიიმპერიალისტური ბრძოლის მასშტაბს. მან თქვა: ახლანდელ მდგომარეობის იმპერიალიზმისას. რომელსაც სათავეში უდგანან შეერთებული შტატები, ახასიათებს მისი სისასტიკე, აგრესიული ხასიათი და ამავე დროს იმის უნარის უქონლობა, რომ გადაჭრას საკუთარი პრობლემები, მისი პოლიტიკის გაკოტრება. ამხ. ს. კარილიო მიესალმა ვიეტნამელი ხალხის დიდ მაგალითს, დაუვიწყარი ამხანაგის ჩე გევარას და პარტიზანთა მეგდლის კამილო ტორესის გმირობას, აგრეთვე ლათინური ამერიკის ხალხთა ბრძოლას, რომლებზეც ესოდენ დიდ გავლენას ახდენს კუბის მაგალითი. მან აღნიშნა კლასობრივი ბრძოლები ევროპაში, კერძოდ მოძრაობა, რომელიც საფრანგეთში დაიწყო 1968 წლის მაის-ივნისში, და მასობრივი გამოსვლები იტალიაში. მიმდინარეობს ბრძოლა ესპანეთში, დასძინა მან, სადაც ისახება ქვეყნის ხვალინდელი დღე, მისი მომავალი თავისუფლებისა და სოციალიზმის პირობებში. ამხ. ს. კარილიომ ხაზგასმით აღნიშნა კომუნისტური პარტიის როლი ამ ბრძოლაში ფრანკისტული დიქტატურის წინააღმდეგ და აღფრთოვანებული სიტყვები უძღვნა წარსულისა და აწყოს ვგრთობა ხსოვნას.

შემდეგ მან აღნიშნა ახალი რევოლუციური შესაძლებლობანი, რომელიც დაისახა ახლა ბრძოლაში იმპერიალიზმის წინააღმდეგ, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის, ანალიზი გაუკეთა ახალ ასპექტებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისას, საერთაშორისო მუშათა კლასის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი მოკავშირისას, რომელიც, თავისი დამახასიათებელი ნიშნების მრავალფეროვნების მიუხედავად, ვითარდება სოციალისტური გარდაქმნების მიმართულებით, როგორც მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის პროცესის ნაწილი.

ლენინის იძ ცნობილი აზრის საფუძველზე, რომ ვინც მოელის „წმიდა“ სოციალურ რევოლუციას, იგი ვერასოდეს ვერ ეღირსება ამს, ორატორმა ცხადყო, რომ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგად ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილის სოციალური მდგომარეობა ისეთივე ხდება, როგორც მუშათა კლასის მდგომარეობა. ამ ძალებმა შეიგნეს თავიანთი მდგომარეობა და სულ უფრო გადაჭრით მონაწილეობენ მონოპოლიათა ძალაუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამას გამოხატავს აგრეთვე სტუდენტთა მოძრაობა — პროტესტები და „გამოწვევა“, რაც ესპანეთსა და სხვა ქვეყნებში სულ უფრო ერწყმის პროლეტარიატის ბრძოლას. უმუშაობა, რეგლუციონარიზმის საყმაწვილო სენის ნიშნები, რაც გარდუვალად ვლინდება ასეთი გაქანების მოძრაობაში, თქვა ამხ. ს. კარილიომ, არ შეიძლება იყოს მეტად ნაჩქარევი მსჯელობისა და, მით უმეტეს, ხელოვნებით დაგბობის საგანი. ჩვენი მხრივ ამ მოვლენის გაუბედობამ შეიძლება დაგვამოროს ეს ძალები, გარკვეული პროპაგანდის გაელენას დაუმორჩილოს ისინი. იმისათვის, რომ გადაიქცნენ სოციალიზმისათვის ბრძოლის ხელმძღვანელ ძალად, კომუნისტური პარტიები არა მარტო უნდა ახორციელებდნენ სწორ პოლიტიკას, არამედ უნარიც უნდა შესწევდეთ განახლდნენ, თავიანთ რიგებში ფართოდ ჩაბნან რევოლუციონერთა ახალგაზრდა თაობანი.

ახლანდელ პეროიდში ჩვენ გაწყდებით ახალ სიტუაციას. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ საბჭოთა კავშირი თავისი ხალხის თავდადებული შრომის მეოხებით გადაიქცა დიად სახელმწიფოდ, გაანადგურა ჰიტლერელი აგრესორები და დასახა მსოფლიოში ახალი სოციალისტური სახელმწიფოების შექმნის გზა. ახლა არსებობს მსოფლიო სოციალისტური სისტემა, რომელშიც 14 სახელმწიფო შედის. და ახლა, როცა ჯერ კიდევ არ მოგვიპოვებია სრული გამარჯვება კაპიტალიზმზე, ჩვენს წინაშე დგება იმ წინააღმდეგობებით წარმოშობილი საკითხები, რომლებიც ჯერ კიდევ არის სოციალისტურ სამყაროში, და რომლებიც კაპიტალისტური წარსულის შემკვიდრეობის შედეგია. იმპერიალისტური პროპაგანდის პირობებში, რომელიც ცდილობს ასეთი წინააღმდეგობანი სპეკულაციას, უნდა გავაძლიეროთ ბრძოლა სოციალიზმის დასაცავად; ამისათვის უნდა ვცნოთ სიძველეთა არსებობა სოციალისტურ სახელმწიფოთა ურთიერთობაში, ანალიზი გავუკეთოთ მათს მიზეზებს და ამრიგად ცხადყოთ, რომ ჩვენ, კომუნისტებს, უნარი შეგვწევს გადავლახოთ ეს სიძნელენი.

ვითვალისწინებთ რა მსოფლიო სოციალიზმის ძალას ამჟამად, ხაზი გაუსვა ამხ. ს. კარილიომ, სოციალიზმი ესპანეთში წარმოგვიდგება წყობილებად, რომლის დროსაც ბურუჟუაზიული რევოლუციის მსგლეობაში ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლით მოპოვებული პოლიტიკური, კულტურული და ინდივიდუალური თავისუფლებანი გაფართოვდებოდნენ იმ ძირითადი თავისუფლებების ათვის ბრძოლასთან ბრძოლა, რომლებსაც კაპიტალისტური ექსპლოატაცია, ჩაგვრასა და უთანასწორობას. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მრავალპარტიულობა ერთ-ერთია ესპანეთის რევოლუციის თავისებურებათაგან გამოდინარე დამახასიათებელი ნიშნებიდან. ვისახავთ რა ასეთ პერსპექტივას, ჩვენ, ესპანელი კომუნისტები, ვხელმძღვანელობთ მარქსიზმ-ლენინიზმის საერთო პრინციპებით და ჩვენი საკუთარი პოლიტიკური პრაქტიკის გამოცდილებით, რამდენადაც ესპანეთში ფაშიზმის წინააღმდეგ ეროვნულ-რევოლუციური ომის დროს შეიქმნა ეკონომიკაში ნაციონალიზაციის სახალხო დემოკრატიის პირველი სახელმწიფო.

ესპანეთის კომპარტიას, თქვა შემდეგ ამხ. ს. კარილიომ, თავის ამოცანად მიაჩნია ის, რომ სხვა სოციალისტურ და პროგრესულ ძალებთან კავშირში განახორციელოს რევოლუცია და მოიპოვოს ძალაუფლება იმ ფორმებით, რომელნიც შეესაბამება თანმდებობა მსოფლიო მსოფლიოში ახლანდელი ესპანეთის მდგომარეობას.

მან განაცხადა, რომ იწონებს ძირითადი დოკუმენტის პროექტში მოცემულ იმ თეზისს, რომ სოციალიზმის სამყარო და ეროვნული ყოველისა საბჭოთა კავშირი შეადგენენ გადამწყვეტ ძალას იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, მეტიც ბურჟუ, რომელსაც ეყრდნობა ბრძოლა ხალხთა ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის. ამ ეტაპზე ეს ბურჟუ ეროვნულ-ეროვნული ბურჟუ, ანალიზი გაუკეთა ამ ბურჟუ ეროვნული ბურჟუ, ეროვნული ბურჟუ, ეროვნული ბურჟუ,

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცხრეთე სესიის სხდომაზე

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

რესპუბლიკაში მასობრივი ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

(დასასრული)

ობილისის საკადრაკო-ალპინისტური კლუბის, დაბა ბაკურიანისა და ლენინგორის პანსიონატების, აგრეთვე სხვა ობიექტების მშენებლობის გეგმები; არადამაკმაყოფილებელია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მონაწილეობა სპორტულ ნაგებობათა მშენებლობაში.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებს არა აქვთ დაწესებული სათანადო კონტროლი ბინის ქირის 2-პროცენტიანი ანარიცხებისა და არასაცხოვრებელი შენობების 5-პროცენტიანი გადასახადის დანიშნულებისამებრ ხარჯვაზე, რაც გათვალისწინებულია სპორტულ ნაგებობათა მშენებლობისა და კულტურულ-მასობრივი მუშაობისათვის.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის რესპუბლიკური და ადგილობრივი კომიტეტები, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების საბჭოები და რესპუბლიკის საუწყებო ფიზკულტურული ორგანიზაციები სუსტად მუშაობენ სპორტის წამყვან სახეობათა მასობრივი განვითარებისათვის, ნაკლებად ატარებენ ისეთ გამაჯანსაღებელ და სპორტულ ღონისძიებებს, როგორიც არის: კროსები, ესტაფეტები, ლაშქრობები და ა. შ.; არ იჩენენ სათანადო ინიციატივასა და აქტივობას ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების აქტუალური საკითხების დაყენებასა და გადაწყვეტაში.

ფიზკულტურის სპეციალისტთა კადრების მომზადება ვერ უპასუხებს დღევანდელობის მზარდ მოთხოვნებს.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სპეციალური ორგანიზაცია — „სპორტვაჭრობა“ ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად აწარმოებს ვაჭრობას და ფიზკულტურული ორგანიზაციებს მომარაგებას სპორტული ფორმით, ინვენტარითა და მოწყობილობით, განსაკუთრებით სოფლად.

რესპუბლიკის გაზეთები, ჟურნალები, რადიო და ტელევიზია, ქართველი მწერლები და დრამატურგები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ სპორტის პროპაგანდის საკითხებს; გამომცემლობები არ ითვალისწინებენ სპორტის პრაქტიკულ მუშაკთა, აგრეთვე ფიზკულტურის სპეციალურ-საკვლევი და სასწავლო დაწესებულებების გაზრდილ მოთხოვნილებას და ნაკლებ ყურადღებას უთმობენ სამეცნიერო-მეთოდიური, პოპულარული და პროპაგანდისტული ლიტერატურის გამოცემას.

რესპუბლიკაში მასობრივი ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების, სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობების, ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების მნიშვნელოვან ამოცანად ჩაითვალოს ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება, მოსახლეობის ფართო ფენების ჩაბმა მასობრივ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ მუშაობასა და საწარმოო ტანვარჯიშში.

2. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის სსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

ა) მუდმივი კომისიების, დეპუტატებისა და აქტივის მონაწილეობით სისტემატურად შეისწავლონ და სესიებზე, აღმასკომების სხდომებზე, სახოფლო ყრილობებსა თუ კრებებზე განიხილონ ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საკითხები. ამასთან ერთად დასახონ და კონკრეტული ღონისძიებანი გაატარონ გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

ბ) მეტი უყურადღება მიაქციონ მოსახლეობასთან ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ მუშაობას საცხოვრებელი ადგილების მიხედვით; კონტროლი დაწესონ იმ თანხების დანიშნულებისამებრ გამოყენებაზე, რომლებიც გამოყოფილია სახლმმართველობების, საცხოვრებელ-საექსპლოატაციო კანტორების, კოლმეურნეობების, საწარმოების და სხვა ორგანიზაციების მიერ ფიზკულტურულ-მასობრივი და კულტურული მუშაობისათვის, სათანადო დახმარება გაუწიონ საწარმოებს, დაწესებულებებს, სახლმმართველობებსა და კოლმეურნეობებს ფიზკულტურის მეთოდისტებითა და სხვა სპეციალისტებით შტატების დაკომპლექტებაში;

გ) უახლოეს დროში მიაღწიონ იმას, რომ ყოველ სამრეწველო საწარმოსთან, კოლმეურნეობასთან, სბჭოთა მეურნეობასთან, დაწესებულებასთან, სასწავლებელთან თუ საცხოვრებელ მასივში მოეწყოს მარტივი ტიპის სპორტული ბაზები და გახადონ ისინი ახალგაზრდობის, მუშა-მოსამსახურეთა და მოსახლეობის ჯანმრთელობის განმტკიცების ნამდვილ კერებად. ამასთან, მკვეთრად გააუმჯობესონ არსებული სპორტული ბაზების, ბალებისა და პარკების გამოყენება სხვადასხვა ფიზკულტურული შეჯიბრებისა და ღონისძიების ჩასატარებლად;

დ) მეტი ყურადღება მიაქციონ სპორტულ ნაგებობათა მშენებლობას. ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ სამრეწველო საწარმოებს, კოლმეურნეობებს, სასწავლებლებს კოოპერირებული წესით სპორტული ბაზების მშენებლობაში. ამ დანიშნულებით უფრო მეტად გამოიყენონ თანხები ადგილობრივი ბიუჯეტების ჯარში შემოსავლიდან.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების საბჭოებმა, საუწყებო ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად:

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მაღალკვალიფიციურ სპორტსმენთა მომზადებას, რომლებიც შეძლებენ წარმატებით დაიცვან რესპუბლიკისა და ჩვენი ქვეყნის სპორტული ღირსება საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებაში;

ბ) გააძლიერონ აღმზრდელობითი მუშაობა სპორტსმენთა შორის, მიაღწიონ ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების, ახალგაზრდობის სპორტული სკოლებისა და უმაღლესი სპორტული დოსტატების სკოლების მუშაობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას;

გ) უფრო მეტად ჩაბაბან ქალები და გოგონები სპორტში; რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში, ავტონომიურ ოლქში ყოველწლიურად ჩაატარონ შეჯიბრებები, ქალთა სპარტაკიადები.

დ) ყოველმხრივ გააუმჯობესონ მუშაობა სპორტის გავრცელებულ და წამყვან სახეობათა მასობრივი განვითარებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სპორტის ისეთ წამყვან სახეობებს, როგორიც არის მძლეოსნობა, ცურვა, ტანვარჯიში, ძალოსნობა, ველოსპორტი და თანამედროვე ხუთჭიდი; უფრო ფართოდ დანერგონ მასობრივი კროსების, ესტაფეტების, ლაშქრობების ჩატარება ფიზკულტურულ კოლექტივებში, რაიონებსა და ქალაქებში;

ე) არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად უზრუნველყონ სპორტის ტექნიკურ სახეობათა პოპულარიზაცია სპორტის ამ სახეობათა დანერგვისა და განვითარების მიზნით;

ვ) ადგილებზე მასობრივ-ფიზკულტურული, გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის გაუმჯობესების მიზნით უზრუნველყონ სპორტული სახეობათა მიხედვით მწვრთნელების, მეთოდისტების, ფიზკულტურული კადრების მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.

4. ფიზიკური კულტურის სასწავლო და სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტებმა ერთ-ერთ მთავარ ამოცანად დაისახონ ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრივი განვითარების საკითხების მეცნიერული დამუშავება, მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის თანამედროვე პრაქტიკის მეცნიერულ საფუძველზე განზოგადება.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად:

ა) გადაჭრით გააუმჯობესონ ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა სკოლებსა და სასწავლებლებში, გაზარდონ სკოლების და სასწავლებლების დირექტორთა, ფიზკულტურის მასწავლებელთა პასუხისმგებლობა სკოლებში სპორტული მუშაობის დაყენებისათვის; მეტი რაოდენობით შექმნან სპორტული განხრით სპეციალიზებული ინტერნატები და სპორტული სკოლები, სერიოზული ყურადღება მიაქციონ მათ სწორად დაკომპლექტებას; ყოველმხრივ გაადვილონ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ბანაკების ქსელი მოსწავლეებსა არდადეგების პერიოდში;

ბ) მიიღონ ზომები სპორტული ბაზების გაფართოებისათვის; არ დაუშვან ახალი სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა ან საექსპლოატაციოდ მიღება სპორტნაგებობათა გარეშე;

გ) ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან ერთად მეტი ყურადღება მიაქციონ სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებებში ფიზკულტურული მეცადინეობის და თამაშობების ჩატარებას.

6. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, სამინისტროებმა და უწყებებმა, რომელთა დაქვემდებარებაში იმყოფება უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები, დასახონ ღონისძიებანი სტუდენტთა და მოსწავლე ახალგაზრდობის შორის ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გასაუმჯობესებლად, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სპორტული ბაზებითა და ინვენტარით უზრუნველსაყოფად, არდადეგების პერიოდში სპორტული ბანაკების მოსაწყობად.

7. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა განახორციელონ სათანადო ღონისძიებანი ფიზკულტურისა და სპორტის პრომაგანდის გაშლის, ფიზიკურ აღზრდაზე და სპორტზე საექიმო კონტროლის გაუმჯობესებისა და სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში სამკურნალო ფიზკულტურის ფართოდ გამოყენების მიზნით; ზომები მიიღონ საექიმო ფიზკულტურის დისპანსერების ქსელის გაფართოებისა და მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის.

8. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ, ტრესტ „საქმიდრონენერგომშენმა“ საქალაქო და რაიონულ საბჭოებთან ერთად მიიღონ სათანადო ზომები სპორტული ბაზების მშენებლობის გასაუმჯობესებლად, არ დაუშვან ამ დანიშნულებით გამოყოფილი თანხების აუთვისებლობა, უზრუნველყონ დადგენილ ვადებში იმ ობიექტების მშენებლობის დამთავრება, რომლებიც წარმოადგენენ ჩვენი ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების გუნდების მოსამზადებელ ბაზას.

9. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად ყოველმხრივ შეუწყონ ხელი დაქვემდებარებულ საწარმოებში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ მუშაობას; რაგორც მუშა-მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის ნაყოფიერების გაზრდის საუკეთესო საშუალებას. საწარმოების მიერ კოლექტიური ხელშეკრულებების დადებისას გათვალისწინებულ იქნას ფიზკულტურისა და სპორტის ფართოდ გაშლისათვის სათანადო პირობების შექმნის საკითხები.

10. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ და სამომხმარებლო კოოპერაციამ გააუმჯობესონ სკოლების, უმაღლესი სასწავლებლებისა და ფიზკულტურული კოლექტივების მომარაგება სპორტული ფორმებითა და ინვენტარით, ამასთან სპეციალურად შეისწავლონ და დასახონ ღონისძიებანი სპორტსაქონლით ვაჭრობის გასაუმჯობესებლად.

11. დაევალოს გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს უკეთ გააშუქონ ფიზკულტურისა და სპორტის საკითხები და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსახლეობაში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის პროპაგანდას, სამეცნიერო და მეთოდური ხასიათის ლიტერატურის გამოცემას სპორტის ცალკეულ საკითხებზე.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამ დადგენილების საფუძველზე დასახოს ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებანი; ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს რესპუბლიკაში ფიზკულტურის კადრების მომზადებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების, სპორტული ბაზების მშენებლობისა და ფიზკულტურის ორგანიზაციების სპორტინვენტარით უზრუნველყოფის საკითხებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო რწმენას გამოთქვამს, რომ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოები, ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციები, სამინისტროები და უწყებები, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად, ყველაფერს გააკეთებენ რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის და ახალი სპორტული მიღწევებით შეხვდებიან მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაშაძე**

თბილისი. 1969 წლის 12 ივნისი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცნიერების, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის ანგარიში

კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ **თ. ი. მოსაშვილის** მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

დღევანდელი სესია შეიკრიბა იმ ღირსშესანიშნავ დროს, როცა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ეთაირებში ემზადებიან, რათა წარმატებით აღნიშნონ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი.

საბჭოთა ადამიანის, კეთილდღეობისათვის ზრუნვა კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. შეუქმნათ საბჭოთა ადამიანებს შრომის, სწავლისა და დასვენების სუკეთესო პირობები — აი რა არის ჩვენი პარტიის მთავარი მიზანი.

ადამიანის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში, სახალხო მეურნეობის სხვა დარგების განვითარებასთან ერთად, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მშენებლობის, კეთილმოწყობისა და კომუნალური მეურნეობის შემდგომ განვითარებას.

უკანასკნელი წლების განმავლობაში უმაგალითოდ გაძლიერდა ჩვენს რესპუბლიკაში მშენებლობის, ქალაქების, დაბების და სოფლების კეთილმოწყობისა და კომუნალური მეურნეობის განვითარების ტემპები, რაც განაპირობა ამ საქმისათვის საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს მთავრობის ყოველდღიურმა მზრუნველობამ და ყურადღებამ. საკმარისია ითქვას, რომ სამშენებლო სამუშაოების ის მოცულობა, რომელიც შესრულებასაც პირველ ხუთწლეულში მთელი წელი სჭირდებოდა, ამჟამად ორ კვირაში სრულდება.

ამ დიდ საყოველთაო-სახალხო საქმეში თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს და მის მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივ კომისიას.

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის ანგარიშში პერიოდი მოიცავს ორ წელიწადზე ოცტა მეტ ხანს. კომისია თავის მუშაობას წარმართავს წლიური სამუშაო გეგმის მიხედვით. განსახილველი საკითხების შესწავლაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ როგორც კომისიის წევრები, ისე სამინისტროებისა და უწყებათა წარმომადგენლები. გამოცდილი სპეციალისტები, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები და მრავალრიცხოვანი აქტივი, რაც განაპირობებდა საკითხების ღრმად შესწავლას და ხელს უწყობდა საქმიან წინადადებათა და ღონისძიებათა შემუშავებას.

ნება მიბოძეთ მოკლედ მოგახსენოთ იმ მუშაობის შესახებ, რაც განახორციელა კომისიამ საანგარიშო პერიოდში, და ამასთან ერთად თქვენი ყურადღება შევიჩერო იმ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებზე, რასაც ადგილი აქვს რესპუბლიკის მშენებლობის, კომუნალური მეურნეობის განვითარებისა და დასახლებული ადგილების კეთილმოწყობის საქმეში.

საანგარიშო პერიოდში კომისიამ შეისწავლა და განიხილა მშენებლობასთან, კომუნალურ მეურნეობასა და კეთილმოწყობასთან დაკავშირებული რვა საკითხი. მათ შორის ერთი საკითხი კომისიამ შეიტანა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, რომელმაც მიიღო სათანადო დადგენილება. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ კომისიის რეკომენდაციის შესაბამისად, მეელ რიგ სამინისტროებსა და უწყებებს დაავალა სათანადო ღონისძიებათა განხორციელება გამოვლინებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად და მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. საკითხის განხილვის შემდეგ არც ისე დიდი დრო გასულა, მაგრამ მაინც იგრძნობა ძვრები და გარდატეხა აღნიშნული რაიონების კეთილმოწყობისა და მოსახლეობის კომუნალური მომსახურების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.

ამხანაგო დეპუტატებო!

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, კომისია სისტემატურად განიხილავდა მეტად საჭირბოროტო საკითხებს. თავის მუშაობაში კომისია ეყრდნობა და იყენებდა ისეთ ფორმებს, რომლებსაც უფრო მეტი სარგებლობის მოტანა შეეძლოთ საქმისათვის. მაგალითად, სხდომების მუშაობაში, როგორც წესი, მონაწილეობას იღებდნენ დაინტერესებული ორგანიზაციებისა და სამინისტროების ხელმძღვანელი მუშაკები. დადგენილებისა და ღონისძიებების გეგმების შემუშავება ხდებოდა მათი უშუალო მონაწილეობით, რაც განაპირობებდა მიღებული დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

ცალკეულ შემთხვევაში კომისია აწყობდა ვასალითის სხდომებს მაგალითად, ქ. გორის მოსახლეობის კომუნალური მომსახურების მდგომარეობის შემოწმების შედეგების განხილვა მოეწყო თვით ქ. გორში. რამაც საშუალება მოგვცა მოგვიწია ყველა ის ამხანაგი, რომელიც დაკავშირებულია ქალაქის კეთილმოწყობისა და მოსახლეობის კომუნალური მომსახურების საქმესთან. რამაც, რასაკვირველია, დადებითი შედეგი გამოიღო.

ამ საკითხის შესწავლამ ცხადყო მთელი რიგი ნაკლოვანებები. მუდმივმა კომისიამ აღნიშნული საკითხი ფართოდ განიხილა. ამავე დროს სამუშაოები ამ მიმართულებითაც არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, რის შედეგადაც სისტემატურად აუთვისებელი რჩება ამ მიზნებისათვის გამოყოფილი თანხები.

ასევე არ სრულდება საბინაო ფონდის მიმდინარე და კაპიტალური შეკეთების გეგმები, რაც უარყოფითად მოქმედებს მის შენახვასა და ექსპლოატაციაზე.

სერიოზული ნაკლოვანებანი გამოვლინებულ იქნა ქალაქის კეთილმოწყობის საქმეშიც. უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქის 60 ქუჩაზე მეტი, რომელთა ფართობი 600 ათას კვადრატულ მეტრამდეა, კეთილმოეწყობელი იყო. არ სრულდებოდა გამწვანების გეგმები. არადამაკმაყოფილებელი იყო სანიტარული მდგომარეობა.

ყველაფერი ეს გამოწვეულია იმით, რომ მშრომელთა დეპუტატების ცხინვალის საქალაქო და სამხრეთ ოსეთის სოლოქი სამეურნეობის კეთილმოწყობის განყოფილებები და მათდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციები მოწოდების სიმაღლეზე ვერ დგანან. ხოლო აღმასკომები მათ სათანადო კონტროლს არ უწევენ და სუსტად ეხმარებიან მუშაობაში.

მუდმივმა კომისიამ, განიხილა რა აღნიშნული საკითხი დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც მიმართული იყო ქ. ცხინვალის კეთილმოწყობის გაუმჯობესებისაკენ. ეს ღონისძიებანი შესასრულებლად გადაეცა საქართველოს კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო და ცხინვალის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტებს.

კომისიის მთელი რიგი წინადადებანი უკვე განხორციელებულია, ხოლო მოწოდებული ინფორმაციები საფუძველს გვაძლევენ, დარწმუნებული ვიყოთ, რომ გვიმით გათვალისწინებული ღონისძიებები უთუოდ შესრულდება, რითაც მიღწეული იქნება ქ. ცხინვალის კეთილმოწყობისა და მოსახლეობის კომუნალური მომსახურების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების საბჭოებმა, საუწყებო ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად:

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მაღალკვალიფიციურ სპორტსმენთა მომზადებას, რომლებიც შეძლებენ წარმატებით დაიცვან რესპუბლიკისა და ჩვენი ქვეყნის სპორტული ღირსება საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებაში;

ბ) გააძლიერონ აღმზრდელობითი მუშაობა სპორტსმენთა შორის, მიაღწიონ ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების, ახალგაზრდობის სპორტული სკოლებისა და უმაღლესი სპორტული დოსტატების სკოლების მუშაობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას;

გ) უფრო მეტად ჩაბაბან ქალები და გოგონები სპორტში; რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში, ავტონომიურ ოლქში ყოველწლიურად ჩაატარონ შეჯიბრებები, ქალთა სპარტაკიადები.

დ) ყოველმხრივ გააუმჯობესონ მუშაობა სპორტის გავრცელებულ და წამყვან სახეობათა მასობრივი განვითარებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სპორტის ისეთ წამყვან სახეობებს, როგორიც არის მძლეოსნობა, ცურვა, ტანვარჯიში, ძალოსნობა, ველოსპორტი და თანამედროვე ხუთჭიდი; უფრო ფართოდ დანერგონ მასობრივი კროსების, ესტაფეტების, ლაშქრობების ჩატარება ფიზკულტურულ კოლექტივებში, რაიონებსა და ქალაქებში;

ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა — და მოქალაქეებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ მიუხედავად წყლის ღირებულების სიმცირისა, მისი მოპოვება და ქალაქებთან და დასახლებულ პუნქტებთან მიყვანა სახელმწიფოს მეტად ძვირი უჯდება. ამიტომ მეტი გონივრულობით უნდა მოეკიდოთ მის გამოყენებას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში და მოსახლეობაში.

მიუხედავად ამისა, რომ საქართველოს კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ 1968 წლისათვის სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებითა გეგმა 100,5 პროცენტით შეასრულა, მთლიანად რესპუბლიკაში კომუნალური მეურნეობის ხაზით გასული წლის გეგმა შესრულდა 98,2 პროცენტით, რადგან აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებმა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა ვერ უზრუნველყვეს გეგმების შესრულება.

მიმდინარე წლის კაპიტალურ დაბანდებათა ოთხი თვის გეგმა სამინისტრომ მხოლოდ 72,5 პროცენტით შეასრულა.

ამხანაგო დეპუტატებო!

საჭიროა აღინიშნოს, რომ ნაკლოვანებები აქვს რესპუბლიკის ბევრ სამეწეგნო ორგანიზაციას. სწორედ ამან განაპირობა, რომ ჩვენმა კომისიამ შეისწავლა და განიხილა, როგორც მშენებლობის სამინისტროს, ისე სასოფლო მშენებლობის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციების მიერ მშენებლობის გეგმის შესრულების მდგომარეობა.

შესწავლილი საკითხების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ზემოაღნიშნული სამინისტროების მთელი რიგი ტრესტები, სამმართველოები, უბნები, მექანიზებული კოლონები და სხვ. ვერ ასრულებენ საგეგმო დავალებებს, მუშაობენ არარეტმულად, ადგილი აქვს ობიექტების საექსპლოატაციოდ ჩაბარების ვადების დარღვევებს, შესრულებული სამუშაოები დაბალი ხარისხისაა.

ზემოაღნიშნულ სამინისტროთა საწარმოების მიერ გამოშვებული რკინაბეტონი და სხვა ნაკეთობანი ხშირ შემთხვევაში დაბალი ხარისხისაა და ვერ აკმაყოფილებს გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

შემოწმებით დადგინდა, რომ მთავართბილმშენისა და მშენებლობის სამინისტროს № 3 სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტისადმი დაქვემდებარებულ საწარმოებსა და რკინაბეტონის კომბინატებში ჯერ კიდევ დაბალია წარმოების კულტურა, დაცული არ არის კონსტრუქციათა დამზადების პროცესი, გულგრილად წარმოებს დანადგართა და განსაკუთრებით ნაკეთობათა ფორმების ექსპლოატაცია.

ქარხნების საკონტროლო განყოფილებებისა და ლაბორატორიების მუშაობის შემოწმებამ ცხადყო, რომ ისინი ფორმალურად არსებობენ და არავითარ ზეგავლენას არ ახდენენ წარმოებაზე ნაკეთობათა ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

მთავართბილმშენის ცენტრალურ ლაბორატორიაში გამოცდილ ადგილზე, რომ აღნიშნული ღირთონის შენადუღი კვანძების სიმტკიცე, რითაც ძირითადად იქმნება ასაწყობი კონსტრუქციების კონსოლებისა და რიგელების დამონოლითება. საშუალოდ არ აღემატება პროექტით გათვალისწინებულის 50 პროცენტს.

რკინაბეტონის მეტ წილ დამზადებულ კონსტრუქციებს, კოლონებს, რიგელებს, ეკიბებს და სხვ. დარღვეული აქვს საპროექტო გეომეტრიული ზომები. ხშირად შემთხვევა, რომ ასეთი კონსტრუქციები ობიექტებზე იგზავნება ტექნიკური კონტროლის გაუწევლად, შეუმოწმებლად.

ყველა ზემოაღნიშნული ნაკლოვანებანი და უხარისხო ნაკეთობანი გამოშვებულია ამითაც, რომ სამშენებლო ორგანიზაციებისა და ტრესტების ხელმძღვანელობა სათანადო კონტროლს არ აწესებს საწარმოო კომბინატების მუშაობაზე, თავის დროზე არ იღებს ქმედითს ზომებს დამნაშავეთა მიმართ და არ ახორციელებს საჭირო ღონისძიებებს ნაკეთობათა ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

საჭიროა, რომ ყველა სამშენებლო ტრესტმა, სამმართველომ, უბანმა და სხვა გააძლიეროს სამუშაოს წარმოების ტემპები. რათა მთლიანად ითვისოს მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრები. ამავე დროს ჩვენი ამოცანაა შევიმუშაოთ ისეთი ღონისძიებანი, რომ მშენებლობის ტემპების ზრდასთან ერთად მივაღწიოთ წარმოების მაღალ ხარისხსაც.

უმეტეს სამშენებლო ორგანიზაციებში არ წარმოებს სათანადო ბრძოლა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების თვითღირებულებისა და შრომის ნაყოფიერების გაზრდისათვის. მთელ რიგ შემთხვევაში საშუალო ხელფასის ზრდა წინ უსწრებს შრომის ნაყოფიერების ზრდას.

ამავე დროს მინდა შევიჩერო მშენებლობისათვის ზოგიერთი მნიშვნელოვან საკითხს, უწინარეს ყოვლისა ენერგეტიკული მასალებით მომარაგების საკითხს.

ჩვენი რესპუბლიკის ბუნებრივი რესურსები საშოალებას გვაძლევს ადგილზე და სამაო როდენობით მოვიპოვოთ ისინი, მიუხედავად ამისა, მშენებლობა ენერგეტიკული მასალების მხრივ ყოველთვის შეზღუდული არის. ბევრ ითხოვთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასახოს საჭირო ღონისძიებანი ენერგეტიკული მასალით მშენებლობის უზრუნველსაყოფად.

განსაკუთრებით მინდა შევეხო ისეთ საკითხს, როგორიც არის მოშახლის არასრულფასობა. არც ერთ სხვა ოლქში არ არის მოშების ისეთი ინტენსიური დენადობა, როგორც მშენებლობაზე. განსაკუთრებით კი გაზაფხულზე და ზაფხულში — ე. ი. მშენებლობის სეზონის ფროს. ამ საკითხის დასაფასებლად მოვიყვან მხოლოდ ერთ მაგალითს: მთავართბილმშენის სისტემაში 1968 წელს მოებული იყო 4.640 მოშა. ამავე პერიოდში კი განთავისუფლდა 5.160 კაცი.

უნდა აღინიშნოს, რომ მოშების გარკვეული რაოდენობა სამუშაოდ ვიოის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც.

ამ მოვლენის თავიდან აცილებისა და ადგილზე ადგილზე შენარჩუნების მიზნით სხვა ღონისძიებებთან ერთად საჭიროა, რომ სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა უფრო მეტი იფიქრონ მოშების ყოფიერებლ-სოციალურ პირობების გაუმჯობესებაზე და მათთვის ნორმალური მოშაობისა და ცხოვრების პირობების შექმნაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში მუშახელით მშენებლობის უზრუნველყოფის საკითხი ალბათ დადებითი დარჩება.

ამ ადგილზე ბევრ ადგილებში ბინათმშენებლობა ეფუძნება ადგილობრივ ბაზებს. ეს ეხება ბინათმშენებლობის ტიპური პროექტების ბინებს, ბინათმშენებლობის ტიპური ბინების ეტლების ალრეცხვაზე, ადგილობრივ ბაზებზე, ადგილობრივ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცხუთე სესიის სხდომები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კულტურის მუდმივი კომისიის ანგარიში

კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ს. ფ. რიგვავას მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენი რესპუბლიკის მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ შექმნა კულტურის მუდმივი კომისია 21 დეპუტატის შემადგენლობით.

საანგარიშო პერიოდში კომისია ცდილობდა ისე წარემართა თავისი საქმიანობა, რომ მისი ყურადღების ცენტრში ყოფილიყო კულტურის ძირითადი დარგები. ამ დროის მანძილზე კომისიის წევრებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეთა მონაწილეობით შესწავლილ იქნა 10-ზე მეტი საკითხი, მათი უმრავლესობა კომისიის სხდომაზე იქნა განხილული. ზოგიერთი საკითხი კი განხილულს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ.

შესწავლილ საკითხთა შორის მხოლოდ ზოგიერთზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საკითხი სოფლად კინომომსახურების მდგომარეობის შესახებ, რომელიც განიხილა კომისიამ 1968 წლის მარტში.

საქმე ის არის, რომ სოფლად რესპუბლიკის კინოქსელი წლების მანძილზე ჩამორჩენილი იყო. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1967 წელს კინოქსელმა რესპუბლიკაში საფინანსო გეგმა შეასრულა მხოლოდ 84,4 პროცენტით, სეანსების ჩატარების გეგმა— 96 პროცენტით, ხოლო მაყურებელთა დასწრებისა 90 პროცენტით. საგულისხმოა, რომ რესპუბლიკაში კინომომსახურებაზე ერთ ხულზე დახარჯული თანხა 2 მანეთს არ აღემატებოდა. ეს კი საშუალო საკავშირო მაჩვენებელზე ბევრად ნაკლებია. აქ შეიძლებოდა დაგვესახელებინა ბევრი რაიონი, რომლებსაც კინომომსახურების 1967 წლის გეგმები სანახევროდაც არ შეუსრულებიათ.

კომისიამ ძირითადი ყურადღება ჩამორჩენის აღმოფხვრის მიზნებზე გამამახვილა და მათგან მთავარ მიზნად ჩათვალა ბევრ სოფელში საერთოდ კინოსურათების საჩვენებელი შენობების უქონლობა. ამ მიზეზით კინოსურათებს ვერ უჩვენებენ ისეთ სოფლებშიც კი, რომლებიც დედაქალაქიდან 50 კილომეტრით არის დაშორებული და სადაც 700-1.000 კომლია. ბევრგან ხასოფლო კლუბებისა და კულტურის სახლების საგრძნობი ნაწილი შეუფერებელია კინოსურათის ჩვენებისათვის. იყო ფაქტები, როდესაც ისინი სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესანახ საწყობად იყო გადაქცეული. მთელ რიგ შემთხვევებში სურათების ჩვენება ხდება მოძველებული და მწყობრიდან გამოსული კინოაპარატურით, მცირეა კინოსტუდიის მიერ ქართულ ენაზე დუბლირებული ფილმების რაოდენობა. არ არის სათანადო კონტროლი ბილეთების გაყიდვაზე.

კულტურის კომისიის თხოვნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილეს საკითხი რესპუბლიკის მოსახლეობის კინომომსახურების მდგომარეობის შესახებ. აღნიშნული დადგენილებების შესასრულებლად ადგილობრივი, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა და კინოქსელის მუშაკებმა სერიოზული მუშაობა გასწიეს, რის შედეგადაც უკანასკნელ პერიოდში საგრძნობლად განმტკიცდა კინოქსელის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ამაღლდა კინოს ჩვენების ხარისხი, მეტი ყურადღება ექცევა კინოთეატრების, კლუბების მშენებლობისა და კეთილმოწყობის საქმეს. შეიქმნა სოფლად ბარტივი ტიპის და შედარებით იაფი კინოთეატრის ტიპური პროექტი და ბევრგან აშენდა ამ პროექტით შენობები ადგილობრივი სახსრებისა და საშენი მასალის ფარფოდ გამოყენებით. ბევრგან შეიცვალა და დაიდგა ახალი გაუმჯობესებული ტიპის კინოაპარატურა. ამ ღონისძიებათა შედეგად ჯაუმჯობესდა მოსახლეობის კინომომსახურება, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა კინომომსახურების გეგმების შესრულებით. 1968 წელს რესპუბლიკაში რამდენიმე წლის შემდეგ პირველად გადაჭარბებით შესრულდა კინომომსახურების გეგმები ყველა მაჩვენებლებით. კარგად იმუშაკეს თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, რუსთავის, გორის, ფოთის, აგრეთვე ზუგდიდის, ზესტაფონის, ლაგოდეხის, თელავის და სხვა რაიონების კინოქსელებმა.

მაგრამ ჯერ კიდევ ბევრ რაიონში კინოქსელის საფინანსო გეგმები არ სრულდება. 1968 წელს გეგმა ვერ შეასრულეს ქუთაისის, ტყიბულის, ჭიათურის საქალაქო, გეგეჭკორის, გურჯაანის, დმანისის, მცხეთის, წყალტუბოს სარაიონო კინოქსელებმა. ზოგ რაიონში მიმდინარე წლის პირველი კვარტალის მაჩვენებლები საგანგაშოა.

რესპუბლიკაში, სამწუხაროდ, კიდევ გვხვდება საკმაოდ დიდი სოფლები, სადაც, თუ არა ღია ცის ქვეშ მოძრავი კინოაპარატურითა, შეუძლებელია კინოსურათების ჩვენება. ზოგიერთი კულტურის სახლი და კლუბი ისევ კეთილმოწყობილია ან არადანიშნულებისამებრ არის გამოყენებული.

ბევრი კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა გამოთქვამს სურვილს საკუთარი სახსრებით ააშენოს შენობები ამ დანიშნულებისათვის, მაგრამ მათ საშენი მასალების უქონლობა აბრკოლებს. კარგი იქნება, თუ სათანადო ორგანოები გამონახავენ ტიპური პროექტები სოფლად კინოთეატრების მშენებლობის მიზნით საშენ მასალათა გამოყენების საშუალებას.

სასურველია ადგილობრივმა ორგანოებმა მეტი იზრუნონ ამ საკითხის მოსაგვარებლად. ფაქტია, რომ სადაც ასეთი სურვილი და მონდომება იყო, მოხერხდა ადგილობრივი საშენ მასალათა გამოყენებით ამ საკითხის მოგვარება.

კულტურის კომისიამ მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო ჩვენი ერის კულტურის ძეგლების მოვლა-პატრონობის მდგომარეობის შესწავლას. ამ მიზნით კომისიის წევრებმა, მეცნიერებმა, მუზეუმების მუშაკებმა ადგილებზე დათვალიერეს წარსულის ბევრი ძეგლი. კულტურის სამინისტროს მუშაკები იყვნენ ხვანთში. კომისიამ აღნიშნა, რომ უკანასკნელ წლებში ქართული კულტურის ისტორიული ძეგლების დაცვის, აღდგენისა და კეთილმოწყობის საქმე საგრძნობლად გაუმჯობესდა. ამჟამად აღრიცხულია და სახელმწიფო კონტროლზეა აყვანილი 5 ათასზე მეტი ძეგლი, წარმატებით მიმდინარეობს მათი მეცნიერული შესწავლა, აღდგენილი და შეკეთებულია ქართული კულტურის ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლები, როგორიც არის მცხეთის ჯვარი, სამთავისი, იყალთო, გელათი, გეგუთი. მრავალ დაზიანებულ ძეგლს გაუკეთდა რესტავრაცია და კონსერვაცია (ბოლნისის სიონი, წულრუღაშენი, წრომი, სამწვერისი, ატენი, ჯუდარები, ფიტარეთი, ქვათხეული, ყინცვისი, ალავერდი, გარეჯის მონასტრები და სხვ.). ასევე ძეგლის მცველების უმრავლესობა დიდი გულისყურითა და პასუხისმგებლობის გრძნობით უვლის მინდობილ ძეგლებს, რის გამო საგრძნობლად შემცირდა ძეგლების დაზიანება ბნეულების მიერ. 1968 წელს წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა სამეჯუჯეტო ასიგნებანი კულტურის ძეგლთა აღდგენა-გამაგრების სამუშაოებისათვის.

გაფართოვდა სამეცნიერო-სარესტავრაციო სახელოსნო, სიძველის ძეგლთა შესწავლის, დაცვისა და პოპულარიზაციის დარგში ნაყოფიერად მუშაობენ საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის სამეცნიერო-საპროექტო ინსტიტუტი, ეროვნული ბიბლიოთეკა, ეროვნული მუზეუმი, ისტორიის, ენათმეცნიერებისა და ხელოვნებათმცოდნეობის ინსტიტუტები